



რვაენი

ფრთვა

" NOTRE DRAPEAU "

832
1975

დაარსებულია ნოე შორღანიას მიერ.

№ 83

შინაარსი:

ს ა მ ა ი ს ო

ვიქტორ ნოზაძე

საბ. ნაციონალური პოლიტიკა

გ ა კ ვ რ ი თ

ჩვენი მეზობლები

პოეტის ფიცი

ხმა სამშობლოდან

მოძრაობა საბჭოეთში

წ ი ნ ა დ და ა ხ ლ ა

ბრუნევის წყალობა

ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი.

პ. სარჯველაძე.

ირაკლი გავაშული.

სოლომონ დოლიძე.

პ. სარჯველაძე.

გ. ყიფიანი.

დ. ქიქერიძე.

ა. ბადრიძე.

დ კაკიაშვილი.

კ. ინასარიძე.

ისტორიულ წარსულში, არა ერთ ერს ჰყოლია ემიგრაცია საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური მართველობის წინააღმდეგი, მისდამი შეურიგებელი და მისი შეცვლისათვის მებრძოლი. ყოფილა და არის ემიგრაცია თავის ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლი. პოლონელთა, ჩეხთა, ირლანდიელთა თუ სხვა ერთა წარმომადგენლების მიერ უცხოეთში ბრძოლის გადატანა ცნობილია...

საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის წარმოშობის მიზეზები ღრმაა, სცილდება სოციალ-პოლიტიკურ ფარგლებს. საქართველო არ დაცემულა რევოლუციით, შინაგან ძალთა მოძრაობით, აჯანყებით, არამედ იქა დაპყრობილი გარედან უცხო, სამხედრო ძალების მიერ. ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია გამოვიდა ბრძოლის ველიდან. ეროვნულმა ტრადედიამ წარმოშვა უცხოეთში გახიზნული პოლიტიკური ძალების მოღვაწეობა. მას თავიდანვე ჰქონდა განსაკუთრებული ხასიათი, ერთი დიდი უპირატესობა, ის იყო და დარჩა სულიერად დაკავშირებული სამშობლოსთან; გადამბული ერის ღრმა საიდუმლოებასთან, მის მისწრაფებებთან. მას არასდროს გამოპარვია იქ მომხდარი საზოგადოებრივი ძვრები, ერის სულიერი ტკივილები, მას შერჩა უნარი ადგილობრივ ვითარების გამოცნობისა, და სულიერად გაამაგრა უცხოეთში გამოხიზნული ეროვნულ-პოლიტიკური მებრძოლნი, სახელდობრ, ქართველი ხალხი ემიგრაციაში ხედავს არა განდგომილ შვილებს, არა მის უარისმყოფელს, არა პირადი ბედის მძიებელთ, არამედ მის მოთხოვნილებასა და სურვილებთა გარედ, გამომტანს, მის გაჭირვების გამხელს, გამეღავენებელს. სამშობლოს მოწყვეტილი იგი აწარმოებს ახდილ პოლიტიკურ ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ მისი საშვალეებანი და შესაძლებლობანი სრულიად განსაზღვრულია და არც აქვს კადნიერება ითამაშოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი როლი...

ემიგრაცია არის ერის დამხმარე, არის მანუფეგმებელი, ჭეშმარიტების და სიმართლის გამხილველი — მლაღადებელი, რის საშუალებას მოკლებულია ადგილობრივად



ქართველი ხალხი... ამ მხრივ, დაძაბული კურადღებით ის თველყურს ადევნებს სამშობლოში მომხდარ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების მოვლენებს, ეხმაურება და აძლევს შესაფერ შეფასებას; ამავე დროს საგარეო ფრონტზე, უცხოეთში შეუჩერებლად აწარმოებს პროპაგანდას ქართველი ერის წარსულის და მისი აწმყო ეროვნულ-კულტურული მდგომარეობის შესახებ.

დროთა მსვლელობამ, ბუნების კანონმა და ხშირად უბედობამ ხელიდან გამოგვტაცა საუკეთესო ხელმძღვანელები, მორიგი მებრძოლები... ჩვენმა მტერმა არა ერთჯერ გამოაშკარავა თავისი კმაყოფილება ემიგრაციის ფიზიკურად შესუსტების გამო, მაგრამ მოსტყუედა... დარჩენილები კიდევ უფრო მტკიცე იდეური გატაცებით შეუდგნენ საქმიანობას; თანდათანობით შესცვალეს ჩვენგან სამუდამოდ განშორებულნი. დღეს მოძრავ ძალებსაც უჩნდებათ შემცვლელნი, მომავალ თავისუფალ საქართველოს სურვილით შეპყრობილები. ასე რომ, ემიგრაციის გამკილაენი, მტერიც და მოყვარენიც დარწმუნებულნი უნდა იყვეს, რომ უცხოეთში ეროვნული ბრძოლის კერა არ ჩამქრალა და არც ჩაქრება.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ურყევად, უმწიკვლოდ შეინახა დამოუკიდებლობის, — 26 მაისის დროშა და მის სამშობლოს აღსადგენად კვლავ გააგრძელებს მუშაობას.

თავისუფლება ერის, თავისუფლება ადამიანის, რჩება ჩვენი ბრძოლის დანიშნულებად!

შიტორ ნოზაძე

დავკარგეთ ღვაწლმოსილი მკვლევარი-მეცნიერი.

მაშე იყო საქართველოს ისტორიაში ის ხანა, როცა ვიქტორ ნოზაძეს მოუხდა სამწერლო და პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობა. პირველი დიდი ომის მიწურული, თებერვლის რევოლუცია, საქართველოს დამოუკიდებლობა, დაპყრობა და უცხოეთი.

ამ დროთა თითოეულ მონაკვეთში, მისი ფიქრი, აზრი, რამაც ის აცოცხლა, ასულდგმულა იყო ქართული საქმის სამსახური. პოლიტიკური საქმიანობით, დამოუკიდებლობის დროს ასრულებდა ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს, იყო რედაქტორი მთავრობის ოფიციალურ ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“-სი, სადაც მისი შრომა ღირსეულად იქნა დაფასებული. ჩვენი სამშობლოს დაპყრობის შემდეგ გადმოხვეწილობაში, მისი გრძნობა და სიმტკიცე განუწყვეტლივ იხატებოდა დამწერლობით აღმავლობაში, სრულყოფილად მეტყველებდა, მისი განპიროვნება მიტოვებულ სამშობლოს ეროვნულ თავისუფლების მისწრაფებებთან. განუწყვეტლივ სტანჯავდა ბედი ქართლისა, მისი აწმყო ძნელბედობა. . .

მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვიქტორი კალმით ხელში შეტრფობდა ბეჭდვითი საქმეს, ამაში იგი ხედავდა უდიდეს იარაღს ქართული საზოგადოებრივ, მწვავე პრობლემათა გასარკვევად, საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის სასარგებლო სამსახურს.

გადახედეთ მის დაარსებულ „კავკასიონის“ ნომრებს, თქვენ ამაში დარწმუნდებით. სხედასხვა ფსევდონიმით თვით ათავსებდა კრებულში ისტორიულ ნარკვევებს, სალი ტერატურო კრიტიკას, ჩვენი ქვეყნის წარსულ და აწმყო ვითარების შესახებ. შეუძლებელი იყო მას გამოპარვოდა საყოფადმყოფო ცხოვრებიდან უმნიშვნელო მოვლენაც კი უკანასკნელად „კავკასიონის“ გარშემო მან შემოიკრიბა ინტელექტუალური ძალები.

ვიქტორ ნოზაძის ცოდნა, მეცნიერული კვლევის უნარი გამოჩნდა მის შრომაში, რუსთაველის უკვდავ ქმნილების დაუშრეტელ წყაროდან, — მისმა ჩანაფიქრმა ღირსეული გამოხმაურება ჰპოვა სამშობლოში და უცხოეთში.

უკანასკნელ წლებში, თითქოს იფეთქაო მისმა გულმა და გონებამ. მეცნიერული შრომა შეათავსა პოლიტიკურ ბრძოლას; ან კი შეიძლებადა სხვა გვარად? ეს ადვილი ახასხნელია. თუ მის შრომას, მკლევარ-მეცნიერნი მოკრძალებით და მადლობის გრძნობით ეხმაურებოდნენ სამშობლოდან, რუსთაველის მისაკუთრებამ არსებულ მართველობისაგან, უსათუოდ დაანადგელიანა მისი გული. პარიზში გამართულ, ჩვენი გენიალურ პოეტის დღესასწაულზე ვ. ნოზაძის „მიმართვა რუსთაველს“, დარჩება ისტორიაში არა მარტოდ წარუშლელი ზოტბა რუსთაველისა არამედ ისტორიული მოძახილი შეუღრეველ ბრძოლისა, ეროვნულ თავისუფლების აღსადგენად. . .

განა ყველაზე უკეთ არ ხედავდა ვიქტორი, თუ როგორ დაამსხვრია ბოროტება რუსთაველმა ქაჯეთის ცახის აღებით, ააფრიალა დროშა თავისუფლების; ჩრდილოეთის ქარიშხალმა კი ამ ბოროტებას ფრთა შეასხა; მგოსანი იბრძოდა ერისა და ადამიანის თავისუფლებისათვის, დღეს ორივე გამომწყვდეულია ტყვეობის ფარგლებში. რუსთაველმა ტარიელ - ავთანდილ - ფრიდონის გმირულ სახეობათა და ურთიერთ კავშირით უგალობა მარადიულ მეგობრობას, სიყვარულს; დღეს ვიქტორის სამშობლოში, ხალხთა საპყრობილეს ძალადობაზე აგებულ „ერთა კავშირს მეგობრობა უწოდეს. მათ შორის სიძულვილის თესვას და ადამიანურ უფლებათა შებოქვას — სიყვარული დაარქვეს. . . და აი აინთო გული რუსთაველოლოგისა, მან მოიმარჯვა კალამი ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ, მისი პოლიტიკური წიგნაკით სასტიკი განაჩენი გამოუტანა სამშობლოში გამეფებულ ეროვნულ-პოლიტიკურ წესებს. როგორ შეეძლო ვიქტორს, თავის სამშობლოს დიდებისა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, სამსახურში არ ჩაეყენებია, ბუნებისაგან მინიჭებული გონებრივი სიმდიდრე? მან კარგად იცოდა რომ პოლიტიკური ბრძოლის გარეშე არ არსებობს ეროვნული ბრძოლა. აქ იყო იგი უკომპრომისო, დაუნდობელი, უკიდურესი, მისი აღზნებული გული მწვავედ განიცდიდა სამშობლოდან მოსულ ეროვნულ ძნელებდობის ცალკეულ მოვლენას. . .

უჩვეულო პირობებში უხდებოდა ვიქტორ ნოზაძეს მუშაობა; მკვლევარი, ასოთამწყობი, უამრავი საჭირო მასალების დამუშავება და მრავალი ტექნიკური დაბრკოლებანი დაძლეულ იქნა მისგან, რადგან მასში ღვიოდა სიყვარული ქართული მიწის, წრმენა ქართული სულის უკვდავების, სამშობლოს კულტურის, მისი ეროვნული ინტერესების სამსახური მას მიაჩნდა საღმრთო მოვალეობად, დაბრკოლება მისთვის არ არსებობდა.

მძიმე შრომის გაწვევაში მას ხელს უწყობდა მისი ძმა, თვით ლიტერატორი, ბ-ნი გიორგი. ქ-ნი ღიდა მოყვასი, კეთილი გულის მანდილოსანი მას მოვლას არ აკლებდა.

ბედმა გვიმუხთლა, რამდენიმე დღის ავადმყოფობის შემდეგ ხელიდან გამოგვტაცა, საუკუნოდ განისვენა. ქართული მიწის მოყვარულს, უცხო მიწამ გაუღო პირი.

უკანასკნელად ვიქტორი აწყობდა თავის მორიგ განოკვლევას რუსთაველის გენიალურ ქმნილებიდან. მას დაურჩა აუწყობელი მხოლოდ რამდენიმე გვერდი, რის აწყობა და გამოცემა შესრულებული იქნება და მკითხველი კმაყოფილებით მიიღებს მის ღრმა განააზრებას.

„უნდა მოვასწრო“ გაიხუმრებდა მეგობრებში; თითქმის გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას. . .

ვიქტორი ვეღარ იხილავს მის უკანასკნელ შრომის ნაყოფს კრებულად გამოცემულს, მხოლოდ გაივლის დრო; ჩვენი სახელოვანი რუსთაველოლოგის შემოქმედებითი კვლევანი მეტად დაფასდება, ქართული კულტურის წარმატებისათვის მომავალი თაობები მას სათანადოდ გამოიყენებენ.

სამშობლოზე ფიქრით დაიფერფლა მისი არსება, მასზე თამამად ითქმის დიდი ილიას სიტყვები:

„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა! . .

ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული, . .

მის თავდადებულ შრომას და ბრძოლას ვერ დაივიწყებს ქართული საზოგადოებრიობა და გადასცემს სამაგალითოდ მომავალ თაობებს.

პ. სარჯველაძე.

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა

გაზეთ „კომუნისტის“ 4 თებერვლის ნომერში ჩემი ყუ-
 რადღება მიიქცია ვინმე ფილონოვიჩის სტატიამ, რომე-
 ლიც გაზეთის მეორე გვერდზე, საკმაოდ მოზრდილი
 ასოებით ასეა დასათაურებული: „საბჭოთა ხალხი ადა-
 მიანთა ახალი ისტორიული ერთობაა“. ეს სტატია ასე იწ-
 ყება: „ჩვენს ქვეყანაში ასზე მეტი ერისა და ეროვნების
 ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ. ისინი ყველანი
 უფლებებით თანასწორნი არიან და თავისუფლად ანვი-
 თარებენ თავიანთ ეროვნულ ეკონომიკასა და კულტუ-
 რას. მათ ყველას ერთი საერთო სოციალისტური სამშობ-
 ლო აქვთ, რომელშიც ეროვნულ რესპუბლიკებს შორის
 საზღვრებს თავისი ყოფილი მნიშვნელობა აღარა აქვს. . .
 საბჭოთა ადამიანებს ახასიათებთ გარკვეული თვისებები,
 რომლებიც უახლოვდება ერის ისეთ ნიშნებს, როგორიც
 არის ტერიტორიის, ეკონომიკის, სულიერი სახის ერთობა
 და ამიტომ, — შენიშნავს სტატიის ავტორი, — სავსე-
 ბით მართლზომიერია ისეთ ცნებების წარმოშობა და გან-
 მტკიცება, როგორიც არის „საბჭოთა ხასიათი“.

ერთი სიტყვით, წერილში ლაპარაკია ასზე მეტ ერსა
 და ეროვნებებზე, რომლებიც დღევანდელი საბჭოთა
 კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ერთი, თვისობრი-
 ვად ახალი ერის ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც სტატიის
 ავტორის თქმით, ტერიტორიის, ეკონომიკის, სულიერი
 სახის ერთობა ახასიათებს. ერთი წუთით შევეშვათ იმას,
 რომ საქართველოს ტერიტორია ოდითგანვე ქართველთა
 კუთვნილებას შეადგენდა, რომ მისი მიწის ყოველი
 მტკაველი სხვადასხვა ჯურის მტაცებელთა წინააღ-
 მდეგ ბრძოლაში დაღვრილი ქართველთა სისხლით
 გაპოხებულა და რომ ისევე, როგორც თვითეულ
 ადამიანს, მშობელი დედა მხოლოდ ერთი შეიძლება ჰყავ-
 დეს, ისე თვითეული ქართველისთვისაც დედა-სამშობლო
 მხოლოდ საქართველოა და არა რუსეთი, შუა აზია ან თუ
 გნებავთ ბალტიის პირეთი. ხოლო კომუნისტური რუსე-
 თის მიერ 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს
 დაპყრობა და შემდეგ მისი სსრ კავშირის შემადგენლო-

ბაში ძალით შეეყვანა, ტერიტორიულ ერთობაზე არ მიუთითებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ერთი წუთით შევეშვათ ყოველივე ამას და მივეყვით ფილანოვიჩის მტკიცებებს თვისობრივად ახალი, საბჭოთა ერის ჩამოყალიბების შესახებ.

სტატიის ავტორი ტერიტორიის, ეკონომიკის, სულიერი სახის ერთობაზე რომ ლაპარაკობს, განგებ უელის გვერდს ერისათვის დამახასიათებელ ისეთ აუცილებელ ნიშანთვისებას, როგორც ენის ერთობაა. თვით საბჭოური განმარტებითაც ერისათვის დამახასიათებელ ხუთ ნიშანთვისებას შორის ერთ-ერთი მთავარი ენის ერთიანობაა და ეს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება ფილანოვიჩსაც, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი განგებ გაურბის ამის ხსენებას, ვინაიდან მაშინ ნათელი გახდება მთელი იმ დემაგოგიის ნამდვილი არსი რომელსაც ფილანოვიჩი ავითარებს თავის სტატიაში, რადგანაც კარგადაა ცნობილი, რომ მოსკოვის პარტხელმძღვანელობა თანმიმდევრულად და მეტად ტაქტიკურად ავითარებს საბჭოთა კავშირში მცხოვრები არა რუსი ერების ერთ ეთნოგრაფიულ ქვაბში აზნელვის პოლიტიკას, რის შედეგადაც ყველა ამ ერების სალაპარაკო ენად უნდა იქცეს რუსული ენა; ე. ი. ინტერნაციონალიზაციის, „საბჭოთა სამშობლოს“, „საბჭოთა პატრიოტიზმისა“ და სხვა ამდაგვარი ცნებების მიღმა იმალება საბჭოთა კავშირში მცხოვრები არარუსი ერების გარუსების პოლიტიკა, ეროვნულობის თვალსაზრისით პატარა ერების შთანთქმა დიდი რუსი ერის მიერ. და ყოველივე ეს ფილანოვიჩს მიაჩნია კანონზომიერ მოვლენად, ვინაიდან ამ ხალხებს, როგორც თვითონ ამბობს, აქვთ ერთიანი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია და აკეთებენ ერთ სერთო საქმეს — აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას,

აქ, უადგილო არ უნდა იყოს, მოვიგონოთ რა ნიადგაზე მოხდა ურთიერთობათა გამწვავება საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ ჩინეთს შორის. ცნობილია, რომ კომუნისტური ჩინეთიც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით ხელმძღვანელობს და იმავე მიზნისაკენ მიისწრაფვის, როგორც საბჭოთა კავშირი — აშენებს კომუნისტურ სა-

ზოგადობას. 800 მილიონი ჩინეთის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის ძნელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული, და მიუხედავად ამისა, როგორც კი ჩინეთმა ზოგიერთი ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა საბჭოთა კავშირს, თუმცა საკითხი ციმბირის გაყინულ ტრამალებს შეეხებოდა, მოსკოვის პოზიცია ამ საკითხში სრულიად უკომპრომისო აღმოჩნდა. ვერც ერთიანმა იდეოლოგიამ და ვერც საბოლოო მიზნის ერთიანობამ ვერ მოაღბო მოსკოვის გული; როგორც ცნობილია, აგერ უკვე რამდენიმე წელია საბჭოთა დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — ილიჩევის მეთაურობით მოლაპარაკებებს აწარმოებს პეკინში სასაზღვრო კონფლიქტის საკითხებზე, მაგრამ დღემდე რაიმე რეალური შედეგი არ არის. და ასეთ პირობებში, განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტერნაციონალური მოსაზრებებით, მარქსიზმ - ლენინიზმი იდეების გამარჯვებითა და საბოლოო მიზნის მიღწევის ლოზუნგით, თუ დადგებოდა საკითხი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ, სადაც 800 მილიონიანი ჩინეთის ენა გადასწონიდა მასზე მომცრო რუსულ ენას, ისეთივე ხალისით დათანხმებოდა საბჭოთა პარტხელმძღვანელობა ეროვნული ჯებირების ნგრევას, როგორც ამას მოსკოვი ცდილობს საბჭოთა კავშირში შემავალი პატარა ერების მიმართ? მაშინაც მოინახებოდა შესაბამისი ცნებები: „საბჭოთა სამშობლოს“ ნაცვლად, ვთქვათ „კომუნისტური ინტერნაციონალური სამშობლო“, „საბჭოთა პატრიოტიზმის“ ნაცვლად „კომუნისტური ინტერნაციონალური პატრიოტიზმი“ და ა. შ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ფილონოვიჩის სტატიას, სადაც განსაკუთრებით ყურადსაღებია სტატიის ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს: „... ამჟამად ეროვნულ რესპუბლიკებს შორის საზღვრებს თავისი ყოფილი მნიშვნელობა აღარა აქვს“-ო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში დიდი ხანია შექმნილია სპეციალური კომისია ლეონიდ ბრეჟნევის მეთაურობით ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის შემუშავების მიზნით. კომ. პარტიის მე-24 ყრილობაზე ბრეჟნევა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სოციალისტური მშენებლობის წლებში

ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“. გამორიცხული როდია, რომ ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვოს ახალ კონსტიტუციაში, და თუ ეს ასეა, მაშინ ფილანოვიჩის სტატია და სხვა მისი დამგვარი დემოგოგიური ნალაყბევი, რაც ასე ხშირად გაისმის უკანასკნელ ხანს საბჭოთა პრესაში, საზოგადოებრივი აზრის წინასწარ შემზადებას ჰგავს.

მაგრამ, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ბევრი ქართველი გადახდომია თავს, ბევრჯერ ცდილან ჩაეკლათ მასში ქართული სული, მაგრამ ქართველი ხალხის ძალა და ნებისყოფა უტეხი აღმოჩნდა.

სწორედ საქართველოს გმირული წარსული იმის თავდება, რომ ქართველ ხალხს გარუსება არ უწყერია!

ირაკლი გავაშელი.

ზ ა კ ვ რ ი თ

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ქართული ჟურნალის „მნათობის“ მე-5 ნომერ. მოწინავეში ვკითხულობთ შემდეგს: „ოდესღაც, მე-17 საუკუნეში, მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი მოსთქვამდა: „მზე აღარ გვიანათებს, მთვარე მიმქრალია! მოვიდა შაჰ-აბაზი და ქვეყანა ააოხრა. შაჰმა შეაკრებიინა წიგნები, საერო და საეკლესიო და მათი ტბაში გადაყრა და ლაფში ამოსერა ბრძანა“.

წიგნები და ხატები ცეცხლს რომ მისცა გავიფიქრე, ნეტავ დედას აღარ ვეშობე, აღწერაც კი მიჭირს სურათისა...“ მეფის აღშფოთებას აბა რომელი ქართველია რომ გულისაღელვებით არ გაიზიარებს და შაჰ-აბაზს არ დასწყევლის, მაგრამ ოინბაზობაც ასეთი უნდა „მნათობის“ მეთაური ავრძელებს: „ახლა გადახედეთ მს-17 საუკუნიდან დღევანდელ საქართველოს, ლენინის ეროვნულ პოლიტიკის წყალობით რამდენი რა გაკეთდა და ჩამოთვლის... მრავალ მიღწევებს, რაც ათასჯერ წაგვიკითხავს, საბჭოთა კალმონებიდან მოგვისმენია, როგორ გადმოაღაჯა მე-17 საუკუნიდან მე-20-ში. თითქოს ქართველ ხალხს არ უბრძოლია ქართული კულტურის ასამაღლებლად, მის დასაცავად, არ უშრომია, არ უმოღვაწია, მაშა-

სადამე უნდა ვირწმუნოთ, — არ შემოსულიყო რუსეთი თავის ჯარით მეორეჯერ, საქართველო დარჩებოდა მე-17 საუკუნის ცხოვრების პირობებში. ასე აბუჩად იგდებს მკითხველს ჟურნალი, რომელიც სერიოზულობის სახელს ატარებს.

წარმოიდგინეთ საქართველო დამოუკიდებელი. დღევანდელ განვითარებულ ტენიკის ხანაში იგი მიაღწევდა ასჯერ მეტს და რაც უმთავრესია, შეინარჩუნებდა თავის სუვერენობას, პოლიტიკურ - ეროვნულ თავისუფლებას არ ჩადებოდა კოლონიალურ მდგომარეობაში. . .

რა მიღწევებიც არ უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხს, ეს მისი გამძლეობის, უნარის, კულტურულ-პოლიტიკურ სიმწიფის შედეგია და არა ლენინის ეროვნულ პოლიტიკის, რომლის საბოლოო მიზანია, დღეს საბჭოთა კავშირში შემაველ ერთა ათქვეფა, ერთ საბჭოთა ერის დაფუძნება.

არსებითად, კიდევმეტად — სრულყოფილად გაბატონება დიდი ერის — რუსეთის. . სხვების თანდათანობით გაჭრობით.

ჩვენ სრულებით არ ვეძლევიტ სასოწარკვეთილებას, სანამ რუსეთი ამ მიზანს მიაღწევსდეს, ძალიტ შეკოწიწებული იმპერია დაიმსხვრევა, ისტორიის განაჩენი მას არ ასცდება. . .

დაუბრუნდეთ და გავიხსენოთ მაინც. როცა რუსეთმა თავისი წესები დაამყარა, ჩვენს დედა-ქალაქში წამოკვეს თავი, ე. წ. „პროლ-მწერლებმა“. უარყვეს ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ მათი ნაჯლაბნი ხალხმა არ მიილო. მოხდა უკან დახევა. ეს იყო, თუგნებავეტ ეროვნული კულტურის გამარჯვება, თუმცა ამით თავისუფალ შემოქმედებისათვის გზა არ გაუხსნიათ. . .

გაქრა თაროებიდან მრავალი ნაწარმოებნი, გასული საუკუნის მიწურულიდან სახალხო მოძრაობას რომ სწორად აღწერდა. რატომ? გასაგებია, მასში არავითარი წამყვანი როლი არ უთამაშნიათ სტალინ-ორჯონიკიძეებს და მათ ძმათა. . .

საბრალოა ქართული საზოგადოება, მკოთხველი, ძომავალი თაობა, რამდენი სიტრაბახე უნდა აიტანოს და რომლებსაც არ აქვეტ უფლება თავისუფალი კრიტიკა გამოსოქვეან.

სოლომონ დიდიძე.

ჩვენი მეზობლები

„სომხეთის იმ მოღვაწეს, რომელიც არ გამოდიოდა საქართველოს დასაცავად, — არ ესმოდა თავის ხალხი და თვისი ისტორია; იმ ქართველს, რომელიც არ იცავდა სომხებს და სომქეთს, არ ესმოდა ქართველი ხალხის და საქართველოს ისტორიული გზები, — ის სომეხი ან ქართველი, რომელიც კარგად იცნობდა და რომელსაც ესმოდა თავის ხალხის ბედ-იღბალი და ხასიათი, მისი უმალლესი ინტერესები, — ყოველთვის იცავდა თავის მეზობელს, როგორც თავის თავსა.“

ოვანეს თუმანიანი.

„მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედ-ნიერება ვერ აშენდება.“

ილია.

„შენ სომეხი ხარ, მე კი ქართველი, მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა.“

აკაკი.

...სანამ საქართველო ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულია, ზოგიერთ მტკივნეულ საკითხებზე მსჯელობა, ზოგიერთი კრილობების გახსნა, შეიძლება უნაყოფო იყოს, მაგრამ ერთ „თვითგამოცემაში“ მოთხრობილი ფაქტები, შესახებ ჩვენი დამოკიდებულობისა ჩვენს მოძმე ერთან — სომხებთან, ფრიად დამაფიქრებელია, სამწუხარო და მოითხოვს ჩვენგან პასუხს. ნათქვამია: „მოყვარეს პირში უძრახვენო“ და ჩვენც ამ განზრახვით ვართ შეპყრობილი.

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველი ხალხი თავის ბუნებით, ეროვნული ხასიათით, ჰუმანიზმით მუდამ კეთილად განწყობილია სხვა ერის მიმართ. მას კარგად ესმის რომ ის დაკავშირებულია მეზობელ ერთან გეოგრა-

ფიულად, პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად. ორი ერის ერთი-მეორეს გვერდით კეთილ-მეზობელური ცხოვრება ნაკარნახევია თვით ამ ორ ერის საარსებო-სასიცოცხლო ინტერესებით. მაგრამ ვულწრთელი მეგობრული კავშირი, რომ დამყარდეს საჭიროა იგი აეგოს კეთილ-მეზობლურ ეთიკის საფუძველზე.

ჩვენის ცნობით „თვითგამოცემაში“ მოცემული ფაქტები სრულ სინამდვილეს შეიცავს. აქ სხვათაშორის ვკითხულობთ: 1. „მტკვრის სათავეები, მდინარე ჭოროხის ხეობა უძველეს დროიდან იყო სომხების, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილებში კულტურის ყველა ძეგლი და გეოგრაფიული დასახელებები აშკარად ქართულია, საჭირო ყოფილა, როგორც ამ შეუსამაბობის გამოსწორება და სწორედ ამ რაიონებში თვითმხილველთა მტკიცებით ადგილი ჰქონია ქართულ ეკლესიებზე ქართულ წარწერათა წაშლას.“

2. სომხის მეცნიერმა პატკონოვმაც გაიმეორა რუსი მწერლის, სენკოვსკის ნათქვამი, რომ მე-17 საუკუნემდე ქართველებს არ გააჩნდათ თავიანთი მატიანე, — რომ იყო სომხური მატიანე, რომლის ორიგინალიც დაიკარგა. რის გამოც მისი ქართული ნათარგმნი სომხებმა ხელახლა თარგმნეს სომხურად.“

3. „1877 წელს, ფრანგულ გაზეთის კორესპონდენტს, რომელიც თბილისში ჩამოსულა, სომხებმა გადასცეს ცნობები, სადაც ქართველობა დამცირებულია; სომხებს ეკუთვნის მომავალი კავკასიაშიო და სხ.“

4. „რუსეთთან შეერთებამდე საქართველოს არ გააჩნდა თურმე სამეფო და არ ყავდა მეფე.“

5. „ვარანცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობის დროს კი არ მალავდნ თავიანთ მისწრაფებებს და თხოვნა გაუგზავნეს რუსეთის მთავრობას, რათა საქართველოს სამხრეთ ტერიტორია, ბორჩალოსა და ახალქალაქის ადგილები გადაეცა სომხებისათვის.“

6. „1922 წელს, სომხებმა წარადგინეს ახალი პროექტი, ითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიის, ჯავახეთის და ბორჩალოს გაერთიანებას და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას.“

7. „გამომუშავებული იქნა რუქა, რომლის მიხედვით, სომხეთს ეკუთვნოდა მთელი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროდან კასპიის ზღვამდე, ქალაქები: ბათუმი, ახალ-ცახე, მცხეთა და თბილისის ჩათვლით.“

8. „გამოცემული იქნა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ნომერი, — სადაც ნათქვამია რომ აფხაზეთი უძველეს დროიდან შედიოდა მეფე მითრიდატის სომხეთის იმპერიაში...“

9. „სომხეთის კათალიკოსი ვაზგენ პირველი, რომელიც პოლიტიკური მოღვაწე უფროა ვინემ სასულიერო პირი, მოქმედობს ცბიერად და საიდუმლოდ ქრთამებითა და საჩუქრებით, დიდი ხანი არაა მან შესძლო დიდძალი სომხების დასახლება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში.“

10. უკანასკნელად, ვერმიშევის რომანმა დაასამარა ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე ხანა, დაასამარა, შეურაცხყო ჩვენი მუღმივად სადიდებელი თამარ მეფე, გააყალბა ჩვენი მეფეების თავდადებული ბრძოლები.

ჩვენ შეგვეძლო აქ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების დასახელება, რომელთაც ესა თუ ის „მეცნიერი-მწერალი“ გვიმასპინძლდება, განსაცვიფრებელ პრეტენზიებით გამოდიან, რათა მიითვისონ ჩვენი ქვეყნის ეს თუ ის კუთხე, — თავის საკუთრებათ გამოაცხადონ ზუროთმოძღვრება, ისტორიული ძეგლები და მრ. სხვა.

რასაკვირველია შორეულ წარსულში დატრიალებულმა ტრალედიამ მძიმე ჭრილობები მიაყენეს სომხეთის ეროვნულ სხეულს, მაგრამ სომხის ზოგიერთ კელმოსანმა რომელიც ქართველთა მიმართ უმართებულო თავდასხმებს აწარმოებს, არ იცის რომ სომხეთის ძნელბედობის დროს, ქართველი მეფენი ისწრაფოდნენ, ხან თურქების, ხან სპარსელების ტყვეობიდან გამოეხსნათ სოზის ყრი, გადაერჩინათ განადგურებისაგან, მეორეს მხრივ, რატომ ავიწყლებათ სომხის კალმოსნებს, რომ პირველი დამნაშავე სომხეთის ტრალედიისა არის რუსეთი. ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დროს, რომ მას (რუსიის) გაადვილებოდა თურქების მიმართ სამხედრო ოპერაციები დააჯერა მაშინდელი სომხების მეთაურები მოეწყოთ

აჯანყება თურქეთში, — და დაპირდა იქაურ სომხეთისაგან ავტონომიის შექმნას. თურქებმა ცხადია გაიგეს სომხების განზრახვები; გაელიტეს ათასეულები, მრავალი ათასები უცხოეთში გაიხიზნენ. ყვალაზე მეტად ქერცივლობამ განიცადა მეზობელ-მოძმე ერის ტრადედია, სათანადო გამოძახილი იპოვა ქართულ საზოგადოებაში და სწორი შეფასებაც მიეცა მაშინდელ დაშნაკელების ტერორისტულ პოლიტიკას. . .

ფრიად სემწუხარო, დამაფიქრებელი ის არის რომ დღევანდელი რუსეთი, რომელიც ერთა ათქვეფვის, აღრევის პოლიტიკას აწარმოებს, შოულობს სომხის ერში თითოოროლა ვაიმეცნიერს-მწერლებს, რათა გადაკიდონ ერთი მეორეს ორი მეზობელი ხალხი; მათი საშუალებით ხდება ერთი ერის ამალება, თითქოს „მფარველობა“, მეორესი დამცირება; ზოგიერთ მტკივნულ პრობლემათა გაცოცხლება. მოსკოვმა კარგად იცის, რომ ორივე ერში მძლავრია მიწრაფება ეროვნული თავისუფლებისაკენ, მაგრამ ისიც იცის, რომ მისი მოპოება მოითხოვს ადგილობრივ ერთა სოლიდარობას და მეგობრობას, ამიტო-ტიმაც იგი ცდილობს გაატაროს „გათიშე და იბატონე“-ს პოლიტიკა.

კვლავ აღვნიშნავთ. გეოგრაფიული ერთობა, ეკონომიური მთლიანობა, სტრატეგიული შესაძლებლობა, აი მთავარი ფაქტორები, სომეხ-ქართველთა ძმურ-მეგობრულ, კეთილ მეზობლურ კავშირს აუცილებელს რომ ხდიან.

კერძოდ, სომხეთი გეოგრაფიულად მოწყვეტილი ზღვიდან, ეკონომიურად მიჯაჭვული ბაქო - თბილისს - ბათუმზე, გაუთიშველია კავკასიის პოლიტიკისაგან.

დამოუკიდებლობის ხანაში ორ ერთა შორის წარმოშობილმა გაუგებრობამ დაგვიტოვა მწარე გაკვეთილი. ორივე ერი დღეს განიცდის ეროვნულ ჩაგვრას; ქართველობა თავისი ნაცადი და ბრძნული მოთმენით, წესძლებს მოძმე ერთან დაამყაროს მუდმივი, მტკიცე მეგობრული ურთიერთობა;

ქართველებისათვის უცნობი არ არის სომხეთის ზოგიერთი მძიმე პრობლემები, რომელთა გადაჭრა მომავლის საქ-

მეა; უმთავრესად შესაძლებელია შემდეგ, როცა კავკასიის საზღვრებს რუსეთი დატოვებს და იქ მობინადრე ერებს მიეცემათ საშუალება დამოუკიდებლად არსებობის. . .

შეუძლებელია ასე არ ესმოდეს სომხის ერს და მისი ინტელიგანციის საუკეთესო ნაწილს. . .

ერთ ბედში მყოფთ გემართებს შეთანხმებული მოქმედება, რაც საწინდარია ორივე ერის გამარჯვების.

2.

სამხრეთით. . .

რადგან ჩვენს მეზობლებთან დამოკიდულებას ვიხსენებთ, არა თუ ზედმეტი, ვფიქრობთ, მუდამ გასახსენებელია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ მეზობელთან ურთიერთობის გარკვევა. უკანასკნელ რუსეთ—საქართველოს ომთან დაკავშირებით, მაშინდელ ოსმალეთის აგრესიული მოქმედება მწვავედ განიცადა ქართველ ხალხმა.

დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი მოხერხებულად იყენებდნენ ამ გარემოებას; გაიხადეს იგი საფრთხობელად და აშინებდნენ ხალხს.

რასაკვირველია ამით ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ დავამცროთ ის გაუგებრობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და მას არ მივსცედ სათანადო დაფასება.

როგორც წარსულიდან ვიცით, სანამ სპარსეთსა და ბიზანტიის შორის ჭიშპობა არსებობდა, ქართველი ხალხი ახერხებდა შედარებით ნორმალური ცხოვრების დამყარებას. კონსტანტინოპოლის დაცემამ, ბიზანტიის იმპერია დასცა და კავკასიას ახალი მეზობელი გაუჩნდა. ოსმალები მოადგნენ შავ ზღვის ნაპირებს. ამდღიდან, საქართველოს დიპლომატიის ყოველი ცდა მეზობლებთან კეთილი ურთიერთობის დამყარებისა მარცხით დამთავრდა. . . ორ დიდ მოწინააღმდეგეთა ჭიშპობაში და მათი თავდასხმათა მოგერიებაში ქართველი ხალხი სისხლიდან დაიცალა. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა საუკუნეები ვაგრძელდა.

მე17 საუკუნეში, მოსკოვის გარშემო გაერთიანებული სამთავროები საგრძნობ ძალად გადაიქცა და მეთოდურად მოუახლოვდა კავკასიის ქედს და ამ ექსპანსიის პროცესში თანდათან იზრდებოდა და სამხრეთ მეზობლებს საფრთხედ ვეღინებოდა. . .



30284

ამ დროს საქართველოს დასუსტებით, სპარსეთი და ოტომანიის სახელმწიფო შლიდნენ იმ ბუნებრივ და პოლიტიკურ ჯგებირს, რომელიც მათ მომდგარ მტრის საზღვრებს აშორებდა; იმის ნაცვლად, რომ მეზობლური ხელი გამოეწოდებია, სიცოცხლით სავსე, თვისუფლების მოყვარული ერისთვის და საერთო ძალით შეეჩერებიათ რუსეთის ექსპანსია, მათ სასიკვდილოდ დასჭრეს და დაასუსტეს საქართველოს სხეული, ამ უკანასკნელს, დაუდგა ყოფნა-არყოფნის საკითხი; ერის ფიზიკური არსებობა ჩაუარდა საფრთხეში. საქართველომ თვალი მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს. თუ ამას რა მოჰყვა ცნობილია, რუსეთმა დაარღვია დახმარების პირობა, და ისიც ბრძოლის ველზე ჩვენი მიტოვებით; დაღალატებით დაარღვია, არა ერთჯერ სხვა პირობები და შემდეგ საქართველო ორ გუბერნიად აქცია.

ჩვენი ღონემიხდილი ქვეყანა ჩაუვარდა ხელში რუსეთს. მოიშალა ბუფერი, რუსულ გიგანტს სამხრეთ მეზობლების საზღვრებიდან რომ აშორებდა... ოტომანიის იმპერიას რუსული ხიშტი ყელზე მიეზღინა, მუღდმივი საფრთხე და საზრუნავი გაუჩინა.

ერთადერთი მეზობელი, რომელსაც ომისაგან განპარტოებული კავკასიის ერების გამაგრება და მათი თავისუფალ მსოფლიოსთან დაკავშირება შეეძლო იყო ოტომანის იმპერია. მის პიდაპირ ინტერესს წარმოადგენდა ამ ბედნიერ შემთხვევის ურყევ ფაქტად გადაქცევა და რუსეთის საზღვრებიდან მოცილება...

სამხრეთ მეზობლის შემოტევებმა ჯერ დაშალა კავკასიის ერთა კავშირი, რამაც საშუალება მისცა საბჭოთა რუსეთს მათთვის, თითო-თითოდ, მონობის უღელი დაედგა. ასეთი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირდაპირი შედეგი. რა ძალა და აზრი უნდა ჰქონოდა ოკუპანტების მიერ ტერიტორიების გაჩუქებას? რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ლენინის დაპირებებს ბრესტ-ლიტოვსკში, თუ რუსეთი კავკასიაში კვლავ გამაგრდებოდა?

რით უნდა ავხსნათ ოსმალეთის დიპლომატიის ასეთი დაბნელება, რომელიც ყოველთვის შორსმჭვრეტელის სახელს ატარებდა. შეიძლება იმით, რომ შინაური ძვრე-

ზის პროცესში იყო; ქემალ ატატუკის მოძრაობა ფართოდებოდა და სულთანის ძლიერების დამხობა მძაღდებოდა; ასეთ პირობებში დადებითი საგარეო პოლიტიკის გამართვა შეუძლებელი იყო და შეიძლება ამით აიხსნება ჩვენი მეზობლის დიდი შეცდომა. . .

ამ უმად მდგომარეობა საკვებით შეცვლილია. ოსმალეთი ჩაბმულია მოდერნიული ცივილიზაციის ფერხულში და დაამკვიდრა დემოკრატიული სახელმწიფო. სასწაულებრივი სისწრაფით მან გარდაქმნა სოციალ-პოლიტიკური სისტემა; შემოიბერტყა ძველი ოტომანიის დიპლომატიური ქურქი, დაიკავა საპატიო ადგილი ერთა კავშირის რიგებში. ასეთი ბიძგის, წინსვლის დინამიური ნაბიჯი შეუძლია მხოლოდ მომავლის რწმენით ამოძრავებულ ერს. ეს მომავალი თავისუფლების სამყაროს ეკუთვნის და ოსმალეთიც ხომ ამ მომავალისაკენ მიიძრათება. ახალი ოსმალეთი მტკიცედ სდგას დასავლეთის დემოკრატიის გზაზე შინ და გარედ.

თავისუფალი ქართული სახელმწიფო ადვილად გამონახავს და დაამყარებს მასთან ნამდვილ მეზობლურ და მეგობრულ განწყობილებას. ორივე სახელმწიფონი შესძლებენ კულტურული საშუალებით გაპფანტონ დუხქირი, ისტორიული პირობებისაგან ნანადერძევი ვაუგებრობანი.

გვწამს, რომ ქართველი ერის დღევანდელი ფაქტის დადასტურებით, წარსულის საბედისწერო შეცდომები არ განმეორდება.

თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო, მუდამ იყო და იქნება კეთილგანწყობილების მოსურნე, და გესურს ვიწამოთ ასეთივე სურვილებით არის განწყობილი ჩვენი სამხრეთის მეზობელი.

3. სარჯველაძე.

პოეტის ზიცი

ვფიცავ ლოდზე ნაგრებ სუროს,
ლევილის მზეს თვალცრემლიანს,
სადაც ჯვრები გარდასულთა
კოცხლებივით გვიცქერიან.

ვფიცავ კალამს, ლექსის სტრიქონს,
მოხუცებულ გულის ძვერას,
სააქაოს, საიქიოს,
წარმოშობის ბედის წერას,

უფსკრულებში ჩაძირულ ხმას,
გრიგალებში ზღვათა ღელვას,
ჩამონგრეულ საყდრის ჯვართან
ღვთისმშობლის წილ ქართველ დედას.

რუსთაველის ოქრო-კალამს,
ქართულ ენის გვირგვინოსებს,
დაუნდობელ უცხო ძალით
ორღენებით დასჯილ მგოსნებს.

ვფიცავ დროშას სამჯერ კოცნით,
საქართველოს დიდების დღეს,
სამთა ფერის ცაში ფრიალს,
ოცდაექვსი მაისის მზეს.

პრეზიდენტის მოხუც სახეს,
დამარცხებულ ქართლოსის ჯარს,
ყელ გამოჭრილ პატრიარქებს,
კათალიკოს ამბროსის ჯვარს.

ვფიცავ, ვფიცავ
აქაც, — იქაც,
სულის გარე, სულის ძირას,
საფლავშიდაც, რომ დავიცავ
წამებულთა ქართულ მიწას.

გიორგი ყიფიანი

ხმა სამშობლოდან

სანამ ქვეყნად ვიარსებებ
და მექნება გასაჭირი,
კვლავ მექნება; ერთი რწმენა,
ერთი დროშა, ერთი პირი.

კვლავ დავბადებ, მეყოლება
ამაყი და ბევრი გმირნი,
ჩემს უფლების დასაცავად
ხმალი ხელში ანალირი.

უფლებას და შვებას ვეძებ,
სხვა სიმდიდრე არ მჭირდება,
არც სახელი მენატრება,
არცა რამე სხვა დიდება.

მოყვარესთან მოყვრობა მსურს
განა მტერთან შერიგება,
ბოროტებას ვებრძოლები —
კეთილთან კი მერიდება.

ქედს არავის არ მოუხრი,
ვერა ძალა მომადუნებს,
არ შევარჩენ; ჩემს დიდებას
ვერაგულად ვინც დასუნებს.

სამართლის გასარჩევად
შევძრავ დრო-ჟამს მოგუგუნეს,
და გავყვები გმირულ სულით
კიდევ მრავალ საუკუნეს.

დ. ქიშერიძე.

მოძრაობა საბჭოეთში

საბჭოთა რუსეთში დაწყებული მოძრაობა, რომელსაც ხემძღვანელობს ინტელიგენციის რჩეული ნაწილი, ჯერ-ჯერობით მცირე ჯგუფით ისაზღვრება. ერთი შეხედვით, თითქოს იგია უმწეო, განწირული და უშედეგო; არ აქვს ერთი ორგანიზაციული დარაზმულობა, მაგრამ თუ ღრმა, დაკვირვებულ ანალიზს გაუკეთებთ სახაროვ—სოლჟენიცინის და მათ მომხრეთა საპროტესტო გამოსვლებს, უსათუოდ ისახება პერსპექტივები, რამაც უნდა გადააშენოს უკანასკნელი კოლონიალური იმპერია, სხვადასხვა სახით მათ გამოსვლებს ახასიათებს ერთი იდეა, იდეა თავისუფლების, გარდაუვალი სურვილი უფლებამოსილ ხალხის სახელმწიფოს შექმნისა.

ვინც უკვირდება, შეამჩნევს რომ წინად, რეპრესიების ქვეშ, პოლიტიკური ტუსალი თხოულობდა პატიებას, აწარმოებდა თვითკრიტიკას, იმცირებდა თავს. დღეს კი, წვალებას, ტანჯვას, ციხეს, ფსიქიატრულ საავადმყოფოს, რომელიც ყველაზე მეტად ბარბაროსული ფორმაა რეპრესიისა — პოლიტიკური პატიმრის სული ვერ მოუღრეკია, ვერ შეუტრყევია. ვინ არიან მერე ეს პირები? მეცნიერი მათემატიკოსი, პოეტი, მწერალი, რომელთაც შეეძლოთ ყოფილიყვნენ რეჟიმისაგან პრვილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენებულნი. მათ აირჩიეს გზა ეკლიანი, მათი სიცოცხლისთვის გზა ხიფათიანი.

გაბატონებულია აზრი, რომ რუსის ხალხი არის მორჩილი, პასიური, რადგან მას თავისუფლება არასდროს ღირსებიაო. ეს შეფასება უსათუოდ შეეფერებოდა წარსულს, შეიძლება ნაწილობრივ ახლაც, რადგან გამუდმებული დოგმებით მას გონება გამოუღაყეს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე, სწავლა - განათლება მიიღეს ფართე მასებმა და თუ ინდუსტრიალიზაციას არ დაუმყარებია ხალხის ნივთიერი კეთილდღეობა, მან წარმოშვა მთელი ლაშქარი ტეხნიკურ კადრებისა, სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები.

მრავალი ცნობები თვით საბჭოთა პრესიდან მოწმობს, რომ ახალგაზრდობის შეგნებული ნაწილი გაურბის იდე-

ოლოგიას. მას მობეზრდა, მოსძულდა უფერული მონოპოლიური ცხოვრება, შეუწყვეტელი ტრაბახი. რკინის ფარდების ოდნავ აწევამ მას თვალები აუხილა, დაანახვა, რომ არსებობს სხვა ცივილიზაცია, სხვა საზოგადოება, შედარებით ჰუმანიური წყობილება.

მოხდა თუ არა ე. წ. „ვალხობა“ დესტალინიზაციის შედეგად, სტუდენტების მიერ გაიმართა მიტინგები, მოსკოვის და პეტროგრადის უნივერსიტეტებში. თუ დღეს ასეთი მიტინგები არ ხდება, ეს რეპრესიული ზომების გამო, — კონცენტრაციული ლაგერები ავსებულია ასალგაზრდობით.

სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა რეჟიმის მამხილებელი მხატვრული ნაწარმოებები, განსაკუთრებით დამახასიათებელია მისალმებები სოლჟენიცინის მიმართ. მწერალმა მიიღო მრავალი წერილები. ყოველ მხრიდან მას წაღობას უთვლიან. „ეკოცნი შენს ოქროს ხელს“, სწერს ვილაც კოლმეურნე რიაზანიდან; „გვიშველეთ რაიმე, ჩვენო მხსნელო!“ და ასე შემდეგ.

თუ ამას მიუმატებთ „სამიზნატებს“ მრავალ ქალაქებში; დროგამოშვებით ფურცლების გავრცელებას, საერთო ჯამში ჩვენ მივიღებთ სერიოზულ მოძრაობას.

ინტელექტუალურ ძალთა მოთხოვნილებაა საბჭოთა კონსტიტუციის გატარება. ეს ბრძოლის ტაქტიკა, უსათუოდ, მიზანშეწონილია, რადგან მისი განხორციელება გამოიწვევს რეჟიმის დანგრევას, რაც ძალიან კარგად იცინ კრემლის ბატონებმა. მათი პოზიცია უაღრესად სუსტია, — მათივე დაწერილ კონსტიტუციის უგულვებელყოფის გამო. . .

მოსკოვს უსათუოდ, რამოდენიმედ მაინც აშინებს დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის ახმაურება, რადგან არასოდეს არ დასჭირვებია მას ამ „წყვეთლ კაპიტალისტებთან“ დაახლოვება პოლიტიკურად ისე ნივთიერად, როგორც დღეს.

ზემოხსენებული ფაქტორები ხელის უფლებას აწვება, იძულებულს ხდის ზოგიერთი დათმობა მოახდინოს, არა ნებაყოფლობით, არამედ როგორც ვსთქვით, მოვლენათა

ზევაკლენით. არავითარ ევოლიუციას დიქტატურა არ მოახდენს, იგი ხდება მისდა უნებურად, რომელიც გადადის რევოლუციაში. . .

თუ გადაჭრით შეუძლებელია თქმა, თუ რა ფორმებში მოხდება იგი, ერთი უდავოა: შინაგან ძალების ამოკრავების გარეშე, ძნელი წარმოსადგენია ძირიან-ფესვიანად დიქტატორული რეჟიმის ამოვდება, ამის მოხდენის რეალურ შესაძლებლობას კი იძლევა დაწყებული მოძრაობა.

მთელი ჩვენი სიმპატიები ამ მოძრაობის მხარეზეა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პროგრესიულ ძალების გამოსვლებიდან, მათი პროგრამიდან არ მოხანს, მცირე ერებისათვის, სასარგებლო მტკიცე პოზიციები. . . მაგრამ არსებული რეჟიმის მოშლა იძლევა უდიდეს შესაძლებლობას, რათა მცირე ერებმა დაუძვრენ მოსკოვის ბატონობას. . .

სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოსკოვისაგან დაჩაგრული ერები უფრო მომზადებულნი შეხვდებიან გარდამავალ ხანას და აღიდგენენ თავისუფლებას.

ა. ბაღრიძე.

წ ი ნ ა ლ და ა ხ ლ ა

. . . იყო დრო როცა ამტკიცებდნენ, საქართველოს ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლიაო. თუ რუსეთიდან პური არ შემოვიდა შიმშილით დავიხოცებითო.

გავსინჯოთ, გადავხედოთ წარსულს. სანამ „მეგობრად“ მოწვეული რუსეთი ჩვენში გაბატონდებოდა საქართველო უზრუნველყოფილი იყო ხორბლეულობით. მართალია, არავითარი ნორმალურად დაყენებული სტატისტიკა იმ დროს ჩვენში არ არსებობდა, მაგრამ დარჩენილია მოხსენებები ფრიად საინტერესო და დასაბუთებული, რომლებსაც უგზავნიდნენ რუსის დიდი მოხელეები პეტერბურგის მთავრობას. ამ მოხსენებებში მოცემულია ფრიად საინტერესო ცნობები.

1804 წლის თარიღით მოხსენებულია: „ხვნა-თასვა იმერეთში, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, — საკმარისია. მოსახლეობას რჩება ზადმეტი სურსათი, რომელიც

იგზავნება ოდიშის გზით ფოთში, საიდანაც იღებენ მარჩილს, რკინას და ზოვიერთ საჭირო საგნებს. მიწა საკმარისად ნაყოფიერია, მოდის პური, შვრია, ფეტვი და ლომი. (იხ. აქტი არქ. კომ. ტ. 11. გვ. 404)

ოდიშის რაიონში ხენა-თესვა გამოიხატება სიმინდის, ფეტვის და ლომის მოყვანაში.

მოსავალი ძალიან დიდი იცის. მიწის მუშა ხშირად დანათვისის 40 ჯერ და 60 ჯერ მეტს იღებს. ლეჩხუმში მიწა საერთოდ ნაყოფიერია, ქვიანი ნიადაგი მიწისა დაფარულია შავი მიწით და ქვიშანარევი თიხით. მოდის პური, შვრია, ფეტვი, სიმინდი და ლომი. მიწის მუშის შრომა ჯილდოვდება ძალიან უხვი მოსავალით. (იხილე იქვე გვ. 408—409).“

უკეთესი მდგომარეობა ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნულ ცნობებიდან ირკვევა: 1829 წელს, დათესილი ყოფილა 723 ათასი დესეტინა მიწა; მოსავალი 1,260 ათასი ფუთი ხორბლეულობა. ყველა ცნობები, რომლებს ამოწერა გვეძნელება, — მოწმობს, რომ აღმ. საქართველოში მოსავალი გაცილებით მეტი ყოფილა ვიდრე ამას მოსახლეობის საჭიროება მოიხოვდა.

მაშ რა მოხდა, რომ ერთი საუკუნის შემდეგ რუსეთის ბატონობისა, რუსის მოხელეებს ჩვენში საბაბი მიეცათ ემტყციებით, რომ საქართველოს საკუთარი პურის მოსავალით თავის რჩენა არ შეუძლიათ?

პირველად ყოვლისა გაიზარდა მოსახლეობა ამ ერთ საუკუნეში, ხოლო მისდა თანაბრად არ გაზრდილა მიწადმოქმედება, რადგან არავითარი ზომა არ ყოფილა მაღლებული ხენა-თესვის და საერთოდ, სოფლის სამეურნეო წესების და საშუალებათა გაუმჯობესობისათვის. მეფის მთავრობის ინტერესში სრულებით არ შედიოდა ხორბლეულობის მოყვანის სიუხვე. პური მას არ აკლდა, მისი პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში ისე მიემართებოდა, რომ ეს უკანასკნელნი დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ რუსეთზე, რაც მიღწეული იქნა და ჩვენში „რუსის პური“ პოპულიარული გახდა. . .

თუ წინად სოფლის მუშა-გლეხი მძიმე ჭაპან-წყვეტას ეწეოდა, პრიმიტიულ იარაღებით საკმაო ჭინახული მოკ-

ყავდა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის გამო მოსავალი შემცირდა და მიწადმოქმედების განვითარების პერსპექტივები არ არსებობდა.

ახლა ვიკითხოთ რა ხდება, როცა მეორედ შემობრუნდა რუსეთი ცეცხლითა და მახვილით?

დღევანდელ ტენიკის ხანაში, განვითარებული სასოფლო სამეურნეო იარაღი ჩვენშიც გაჩნდა, ლოლიკურია გვეფიქრა, თუ ძველი პრიმიტიული საშუალებებით პურის სიუხვე იყო, ახლა უნდა მოსავალი გაათავებულიყო.

მოხდა წინააღმდეგი. როგორც ძველი რუსეთი, ისე ახალი, დაინტერესებულია ისეთი მოსავლით, რომლებიც საექსპორტოდ გამოდგება. მან ხელი მიჰყო ჩანის, სიტრუსების მოშენებას, რა არის ამაში ცუდი, იტყვიო. ჯერ ერთი, ჩვენი ციტრუსები, ხშირად, მოსკოვის სავაჭროების ვიტრინებს ამშვენებს, ხოლო ჩვენს დედა-ქალაქში ლიმონი, ეს ფრიად საჭირო ხის ნაყოფი, ნაკლებად იშოვება. ჩაი ზომ ვერასოდეს შეცვლის ზორბლეულობას. მასასადამე საქართველო კვლავ დამოკიდებული ხდება მოსკოვზე, რომელსაც მართალია თვითონაც არ ყოფნის, მაგრამ უნდა მოითმინოს რუსმაც და ქართველმაც, სანამ კანადის თუ ამერიკის პური შემოვიდოდეს.

როც ამას ვწერთ, თითქოს პურის ნაკლებობა არ არის, მაგრამ არავის დავიწყებია წლების განმავლობაში რიგები, ამავე დროს, რატომ უნდა იყვეს საქართველო შემყურე რუსეთის? როცა შესაძლებელი ყოფილა საკმაო ზორბლეულობის მოყვანა ადგილობრივად?

სამწუხაროდ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, სანამ არ მოიშლება მოსკოვიდან შემოტანილი სისტემა, ანუ უკეთ არ მოიშლება კოლონიალური ეკონომიური პოლიტიკა; და ეს არ მოხდება, სანამ საქართველო არ დაიბრუნებს დამოუკიდებლობას.

დავით კაკიაშვილი.

ავსტრია.



„ბრეჟნევის წყალობა“

ჩვენი ყურადღება, სხვა მრავალთა შორის, ედუარდ შევარდნაძის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა თბილისის პარტიული ორგანიზაციის მე-ოცდათუთმეტე კონფერენციაზე, — მიიპყრო მისმა შემდეგმა სიტყვებმა: „თქვენ ყველამ იცით, — განაცხადა შევარდნაძემ. — რომ ამ დღეებში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკამ და მინისტრთა საბჭომ, ლეონიდ ბრეჟნევის ინიციატივით, მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს სსსრ. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებას, როგორც შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, მიედევნება საქართველოს კომპარტიის ციკას საეციალური პლენუმი.

მაგრამ ამ ჯერად, მე მსურს არა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამ ღონისძიებებზე მივითითოდ, არამედ იმ ფაქტზე, რომ მოსკოვი ადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ღონისძიებებს, და ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ციკას პირველი მდივანი და ამით საქართველოს „პირველი“ მართველი, ესალმება ცენტრის პარტხელმძღვანელობის ამგვარ ჩარევას საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ამ ფაქტს კი აქვს მრაველი ასპექტი, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად მიმაჩნია ის, რომ — თუ არ ვცდები — ესაა პირველი შემთხვევა, როცა ცენტრი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს სახავს არა მთელი საბჭოთა კავშირისათვის, ე. ი. ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის, არამედ მხოლოდამხოლოდ მართა საქართველოსათვის განცალკევებულად. რაშია საქმე? რამ გამოიწვია ცენტრის ასეთი უშუალო, პირდაპირი ჩარევა ჩვენს მეურნეობაში? რატომ არ დაკმაყოფილდა ცენტრი საერთო სახის ღონისძიებებით, როგორც ეს ხდებოდა დღემდე და სავალდებულო იყო ეს ღონისძიებანი როგორც საქართველოს, ისევე საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვისაც?

აგრეთვე უმთავრესად მიგვაჩნია ის, რომ ცენტრი — საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამ ღონისძიებებით კიდევ უფრო აძლიერებს თავის კონტროლს საქართველოზე, კიდევ მეტ ჰაპან-წყვეტას მოითხოვს საქართველოს მშრომელებისაგან. მაგრამ ცენტრის ამგვარი კონტროლის გაძლიერების უკან იმალება წმინდა ეკონომიური განზრახვა; საქართველოს სახალხო მეურნეობა უნდა წარმართოს არა ქართველი ერის შასაბამისად, რომლის ცენტრში უნდა იდგას საქართველოს მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, არამედ სრულიად გაეთქვიფოს ცენტრის ცენტრალურ გეგმებში, რომელთა მიზანია საქართველოს ეკონომიკაც ჩაეტიოს იმ საზღვრებში, რომელთა სფეროს ცენტრის პარტხელმძღვანელობა განსაზღვრავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება უნდა წარიმართოს ისე, როგორც ეს სურს ცენტრს და არა ისე, როგორც ეს სურს საქართველოს მოსახლეობას.

და ის ფაქტი, რომ საქართველოს „პირველი“ ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე ესალმება ცენტრის ამგვარ კოლონიურ ეკონომიურ პოლიტიკას, დიახ კოლონიურს, ვინაიდან უცხო ერის შვილები განსაზღვრავენ ჩვენი ეროვნული ეკონომიკის განვითარების გზებსაც, საინტერესოა იმით რომ, როგორც ჩანს ედუარდ შევარდნაძესა და მის მომხრეებს არ ესმით, ან არ უნდათ გაიგონ, თუ ცენტრი, — როცა საქართველოს მეურნეობის განვითარების ღონისძიებებს აყალიბებს, რა შეურაცყოფას აყენებს ამით საქართველოს, ქართველ ერს, და თვით შევარდნაძესაც! განა ქართველ ერს ესაჭიროება ცენტრის პარტხელმძღვანელობის ღონისძიებების დასახვა იმისათვის, რომ ჩვენ, ქართველებმა განვაკითხოთ ჩვენი ეკონომიკა? განა საქართველოს, ქართველ ერს, ქართველ ეკონომისტებს ესაჭიროება უცხო ქვეყანაში, რუსეთში დამზადებული ღონისძიებები, რომ ჩვენი ეკონომიკა განვაკითხოთ? განა ეს არ არის საქართველოს, ქართველი ერის და თვით შევარდნაძის შეურაცყოფაც?

ამგვარ ჩარევას დიდი სახელმწიფოსი პატარა სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში, ისტორიულად, ადგილი

ჰქონდა მე19 საუკუნის დასაწყისში და ისიც, ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომლებიც დღეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოებია და განვითარებულ სახელმწიფოებადაა წოდებული! და ნუთუ დღეს საქართველო ასე დაცემულია ეკონომიურადაც, რომ მისი ეკონომიური განვითარების გეგმები ვილაც უცხო ერის შვილებმა შეადგინონ?

ჩვენ ვამბობთ „უცხო ერის შვილებმა“, ვინაიდან ჩვენ არ ვთვლით, რომ საქართველო რუსეთის ნაწილია, თუ გნებავთ, ეკონომიურადაც კი; არ ვთვლით, თუ გნებავთ, იმიტომაც რომ საქართველო, საბჭოთა კავშირისა და საბ. კოთა საქართველოს კონსტიტუციით, „სუვერენული რესპუბლიკაა“, და ნუთუ ეს სუვერენული უფლებები იმდენად მაინც არ უნდა იყოს ჩვენგან ქართველებისაგან, საქართველოს პარტხელმძღვანელებისაგან დაცული, რომ ჩვენი ეკონომიური გეგმები თვითონ ჩვენ შევადგინოთ?

კ. ინასარიძე.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი

დიდი სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ფრანგულ გამოცემლობამ „პანსე უნივერსელ“ გამოსცა ჩვენი პოეტის, გიორგი ყიფიანის პოეზიის ფრანგულ ენაზე ნათარგმნი წიგნი UN PCÈTE GÉORGIEN A PARIS.

მთარგმნელი: † ლევან ზურაბიშვილი, ასმათ ქორდანია—ფალავასი, ირინე ყიფიანი.

5 ივნისს. სალამოს 22 საათზე „რადიო ლუქსენბურგი“ გადმოსცემს წიგნის გამოცემის შესახებ. წიგნის შეძენა შეიძლება ყველა ფრანგული წიგნის მაღაზიებში და Librairie 7, Rue des Carmes, 75005 PARIS - Tél. 033.75.95

უკანასკნელ ხანებში გამოცემულ იქნა:

1. ვლასა მგელაძის მოგონებებიდან ორი წიგნი.
2. გ. ყიფიანის ლექსთა კრებული.
3. საბჭოთა ისტორიოგაფიის სიყალბე ა. ბადრიძე.
4. დ. ქიმერიძის ლექსთა კრებული.
5. სიმართლით აწონილი სიტყვა. პ. სარჯველაძე.

ლევან ზურაბიშვილი

უცხოეთში მცხოვრებ ქართველობამ მწვეავედ განიცადა ლევან ზურაბიშვილის უდროოდ გარდაცვალება. პარიზის მრავალრიცხოვან ქართულ საზოგადოებამ ცრემლით მიაცილა მისი ცხედარი ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

განუსაზღვრელია საერთო მწუხარება. დავკარგეთ მებრძოლი პატრიოტი, დაუშრეტელი ენერჯის მქონე, მისი გული იწვოდა საქართველოს ძნელბედობის გამო, მისი უფლების აღდგენისთვის აწარმოებდა შეურიგებელ პროპაგანდას უცხოეთის პოლიტიკურ წრეებში სიტყვით, წერით. მისთვის დალლა არ არსებობდა, მოსვენება არ იყო, მან შესძინა ქართულ საქმეს მრავალი მეგობრები, უცხოეთში, რომლებმაც ღრმა მწუხარებით დაიტირეს უდროოდ გარდაცვალებული და მით მეგობრობაც დავეიმტკიცეს.

მრავალი წლის განმავლობაში, როგორც სათვისტომოს თავმჯდომარემ ერთგულად და უანგაროდ ემსახურა ქართულ საზოგადოებას; უკავშირდებოდა სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტულ ქართველობას, აწვდიდა მათ ლიტერატურას, ამხნევებდა და მით უმსუბუქებდა მათ ლტოლვილთა ხვედრს... ამ მცირე წერილით არ ამოიწურება ლევან ზურაბიშვილის პატრიოტული მოღვაწეობის დაფასება. მის ხსოვნას მიეძღვნა, „თავისუფლების ტრიბუნას“ მე-7 ნომერი, რომლის რედაქტორ დამაარსებელთაგანი მიცვალებული იყო, სადაც ვრცლად აღწერილია მისი ავადმყოფობა, გარდაცვალება და დაკრძალვა. მკითხველი ფართოდ გაეცნობა მის მოღვაწეობას.

აქ კი „ჩვენი დროის“ რედაქცია მწუხარების ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მის მეუღლეს, ქ-ნ ზეინაბს, მის ქალ-ვაჟს, სალომეს და ოთარს, და უსურვებს მათ მხნეობას...

ელისე პატარიძე

ა/წ. 10 თებერვალს, ლევილის ძმათა სასაფლაოს მივებარეთ გულწრფელი მეზობლი პატრიოტი, საქ. ეროვნული პარტიის თველსაჩინო ხელმძღვანელთაგანი, ელისე პატარიძე. ქართულ საზოგადოებისათვის ცნობილია განსვენებულის საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეობა. ჯერ კიდევ ახალგაზრდული აღტკინებით აღვსილი ელისე, ასრულებდა ხელმძღვანელის როლს ქართველ სტუდენტობაში. ქართველი ერის განსაცდელის ხანაში, იარაღით ხელში იბრძოდა დამოუკიდებლობის დამცველთა რიგებში. უცხოეთში გადახიზვნის შემდეგ, ის აგრძელებს უცხოეთში დაკარგულ ეროვნული თავისუფლების აღსადგენად ბრძოლას სიტყვით, წერით, მონაწილეობას ლეზულობს ყველა საზოგადოებრივ საქმიანობის ხელმძღვანელობაში. განსაზღვრულ დროს იყო პარიზის სათვისტომოს თავმჯდომარე, პირნათლად, უანგაროდ ემსახურა ქართულ საზოგადოებას. უცხოეთში მან შექმნა, თავის მეუღლე ქ-ნ თამართან ერთად სამაგალითო ქართული ოჯახი.

„ჩვენი დროის“ რედაქცია გულწრფელ თანაგრძობას უცხადებს მის მეუღლეს, შვილებს და მის სიძეს.

ნიკოლოზ თოხაძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა ფრანგული ჯარის კოლონელი ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე. ის ეკუთვნოდა იმ ბრწყინვალე თაობას, იმ სასახელო ქართველ იუნკერთა ჯგუფს, რომელმაც თავის გმირული თავდადებით ეკვეთა კოჯორ-ტაბახმელას მალალოზზე, ჩრდილოეთიდან შემოსეულ დამპყრობელთ.

ჩვენი მასპინძლების — ფრანგების ჯარში, კუკური თავის სიმამაცით და ერთგულებით ავიდა სამხედრო მწვერვალზე, დაიმსახურა მედგარი მხედრის სახელი. ფასდაუდებელ სამსახურისათვის მან მიიღო უმაღლესი სამხედრო ჯილდოები. საფრანგეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებში ის მუდამ მეზობლთა პირველ რიგებში იდგა რითაც ასახელა ქართველის სახელი და ღირსება.

ქართველობა სამართლიანად ამაყობდა მისით. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული ნიკოლოზი იმედად მოგვევლინა; ჩადგა ქართული საქმის სამსახურში, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე საპატიო ადგილი დაიჭირა. ის დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სამშობლოში მომხდარ ამბებს. ათავსებდა წერილებს ქართულ და ფრანგულ გამოცემებში.

ნიკოლოზი იყო ფრიად თავაზიანი, ყველას მოყვასი და მოყვარული, გულშემატკივარი და სათნო ადამიანი...

მან დაგვტოვა იმ დროს, როცა ყველაზე მეტად საჭირო იყო მისი ავტორიტეტი, ცოდნა ქათული საქმის საწარმოებლად.

„ჩვენი დროის“ რედაქცია თანაგრნობას უცხადებს მის დამწუხრებულ ოჯახს.

ხარიტონ შავიშვილი

ა/წ. 31 იანვარს, თავსუფლების მოყვარე შვეიცარიის მიწამ მიიბარა, საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დამდნარი ღრმად მოხუცებული ხარიტონ შავიშვილის ნეშთი.

ხარიტონ შავიშვილი 1905 წ. რევოლიუციაში მონაწილობისათვის მეფის ხელისუფლებამ დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა, საიდანაც მან გამოიქცა და თავი-ყენევას შეაფარა, სადაც იმ დროს თავს აფარებდნენ (ქობილი რუსი სოც. დამოკრატები: პლეხანოვი, მარტოვი. დანი და სხვები, რომელთანაც ხარიტონმა მეგობრული და საქმიანი კავშირი დაამყარა. ყენევაში მას დახვდა აგრეთვე დათიკო შარაშიძე და თავისი ძმა ვანო შავიშვილი. მათინ ყენევაში ცხოვრობდა აგრეთვე, შემდეგში რუსეთში დესპოტიური ხელისუფლების დამამყარებელი და საქართველოს დაპყრობის მამამთავარი ლენინი, რომელიც თბილისში სტალინის მიერ გატაცებული 300 ათასი მანეთით არხეინად დროს ატარებდა.

ხარიტონი მონაწილე იყო სოც. დემ. იმ კონფერენციის, სადაც ნ. რამიშვილმა ლენინს პირზე დაადგა და დაუმტკიცა, რომ ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა კავკასიაში ტერორს, დაცემებსა და გატაცებებს.

მთელი თავისი სიცოცხლე ხარიტონმა საქართველოს საკითხის პოპულარიზაციას შესწირა უცხოეთში და უკანასკნელ დღემდე მას კალამი ხელიდან არ გაუგდია, რის შედეგად დასტოვა 11 კარგათ მოზრდილი, ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნი.

ხარიტონ შავიშვილი ერთი იმ პირთაგანი იყო, რომლებმაც საქართველოს საკითხის პროპაგანდის საქმეს უდიდესი ღვაწლი დასდო და რადგან შვეიცარიაში ის ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს იცნობდა, მათი დახმარებით. ყველა შვეიცარულ გაზეთებში საქართველოს ბედის შესახებ ვრცელ სტატიებს სწერდა და ხელს უწყობდა გამოაშკარავებას რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკისას.

ხარიტონი ითვლებოდა შვეიცარიაში, თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივ წარმომადგენელად და ერთა ლიგაში საქართველოს საკითხზე შეუცვლელ მზრუნველად.

მ. ბე—ლი.

ბარდანიცვალიძე და დასაფლავებულნი არიან ლევილას ძმათა სასაფლაოზე შემდეგი მამულიშვილნი:

გასული წლის 17 ივნისს გელაშვილი შიო.

25 იანვარს 1975 წ. მიხეილ გრიგოლია

28 იანვარს 1975, ნინო ბერეკაშვილი.

13 თებერვალს 1975, თამარ ერისთავი.

28 თებერვალს 1975, ნინო მიქელაძის ასული.

18 მარტს 1975, სერგო სეფისკვერაძე.

13 აპრილს 1975, შარაბიძე ვლადიმერი.

2 აპრილს 1975, კახაბერი გიორგი დასაფლავებულია სანტუანის სასაფლაოზე.

5 მარტს 1975, დავით შორდანია, დასაფლავებულია მონბელიარში, დუბის დეპარტამენტში.

1 მარტს 1975 სიმონ დადიანი გარდაიცვალა სან-ფრანსისკოში.

სიდნეიში გარდაიცვალა ალ. კოსტავა.

შეამოგწირვეთა სია

„ჩვენი დროშის,, წინა 82 ნომრისათვის გაიღეს:

სოშოს სათვისტომოდან	100 ფრ.
აკაკი შავგულიძე	100
კ. ინასარიძე.	100
ის. გაფონია	150
შ. ჯაველიძე	200
პრ. ინწყირველი	100
ტარ. ულენტი	50
გერ. ბოლქვაძე	50
გრ. ბარამიძე	50
მ. მელუა	30
მ. ბერიშვილი	20
სოშოდან: გრ. კვარცხავა	100

ს. ჭირაქაძე, დ. დუიშვილი, ილ. ემუხვარი, ილია
სალუქვაძე, დ. ჭიმერიძე,; თითომ ათი ფრანკი 50

ამ 83 ნომრის გამოსაცემად წინასწარ გაიღეს: კ. ინა-
სარიძემ 100 ფ. პრ. ინწყირველმა 100 ფ გრ. ბარამიძემ
50 ფ.—ამერიკიდან და სოშოდან 190 ფრანკი